# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1434 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 5 ივლისის №5/34238 გადაწყვეტილება, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ განძაში 228.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობა ობიექტი №1-ის პირველ სართულზე არსებული 158.30 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №65.06.32.044.01.500) და მე-2 სართულზე არსებული 191.10 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №65.06.32.044.01.501) ფართების, მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის

ნაკვეთთან ერთად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი